

# ღელა

«ღელა» ტერა ქვეანა,  
ოღონე იყენი შინა,  
და შინა ქართული, სწულითა  
ხაშობალო ეკაბანეთა»

№ 4 საბავშვო და ცენტრალური კომიტეტი და  
პ. ი. ჯანინის სახელობის შიჩა პირენათა  
ორგანიზაციის რედაქციური საბავშვო ჟურნალი  
აპრილი  
1959



# დიდი ხე

## ა. კონოპნი

პარკის შემადგენელ ადგილას დიდი, ტოტებგაშლილი ხეები იდგა. ამ კორპორაციდან მინდორი მოჩანდა, მინდორს იქით—სოფელი, სოფელს იქით კი რკინიგზა მიიკლავებოდა.

პარკს მარცხნივ მდინარე ჰანრა ჩამოედინებოდა. ზოგჯერ ლენინი ბილიკს ჩაჭყვებოდა



მდინარის ნაპირას და გლეხებს ჩაუჯდებოდა სასაუბროდ. ზოგჯერ კი შეჩერდებოდა და გასცქეროდა მორთი ჩაფლილი მატარებლის კვამლს, სოფელს რომ ეფინებოდა.

ბილიკის მოსახვევში დიდი ნაძვი იდგა. გამოწვდილი ტოტები საამურ ჩრდილს ჰჟუნდა სილასუე, შისს სხივები ძლივს და ატანდა შიგ.

საფხულობით გრილობი სშირად იერიდნენ სოლომე თავს ბავშვები და თამაშობდნენ; ამ ნაძვის ჩრდილში ისვენებდნენ დაღლილი ადამიანებიც.

ერთხელ,—ეს იყო 1920 წლის ივნისში,—მოვიდა აქ ლენინი და რას შედავს: დიდი ნაძვის ძირკვიდანა დაჩენილი, გადასეწილი ხე კი ბალახში აგდია, აღარც კენწერო აქვს და აღარც ტოტები, ვიღაცას ცუდით ჩამოუსხეპია.

ვლადიმერ ილიას მე შინ შებრუნდა და დაიწყო გამოკითხვა:

— ვინ მოჭრა ნაძვი? მერე და, სად იყო ამ დროს კომენდანტი?

სოფელ გორკაში ამ სახლსა თუ სხვა შენობებს, ელექტროსადგურს და მთელ მეურნეობას კომენდანტი განაკებდა. მასვე ევალებოდა პარკის დაცვა.

ჭოდა, მაშინვე კომენდანტთან გაეშურ-



ნენ, რომ ვაგვოთ, ჰარკუი ხეების გაჩეხვა  
რად დაუწყებოთ.

კომოიოკვა, ნაძვი თვითონ კომენდანტს  
მოეჭრა.

— რა უდიერთობა! — გაბრახდა ვლადიმერ ილიას მე, ეს ამბავი რომ შეიტყო, და განკარგულება ვასცა კომენდანტი დაეპატიმრებინათ.

კომენდანტს კი აზრადაც არ მოსვლია, რომ ასე დასჯიდნენ; მივიდა ლენინთან, სცადა აეხსნა, რად მოჭრა სე, მაგრამ ვლადიმერ ილიას მე მოცდად მიუგო:

— ხეები ჰარკუი იმიტომ როდი იხრებდა, მოეჭრათ და შემად გამოვიყენოთ. ეს ჰატარა ბაჰაჰეიმაც კარგად იციან, თქვენ კი... თქვენ სომ უკვე კაცი ხართ.

კომენდანტი მლიერ შეწუხდა და დაბნეულად იხარტლებდა თავს: რა თქმა უნდა, იგი შეცდა, მაგრამ ეს მისი ჰირველი დანა-

შაულია და სომ შეიძლება უფრო ლობობი-  
რად მოეცნენ.

— ლობობიერად? — გაიკვირვა ვლადიმერ ილიას მე, — ეს სომ ჩემი საკუთარი სე არ არის. ეს სახალხო სომიდირა, მძახადამე, არ შეიძლება ლობობიერად მოგეპუროთ.

კომენდანტმა ვერაფერი გააწუო და წავიდა.

იმ დღეს შინაურებიც შეეცადნენ და კომენდანტს გამოეკომბენ, მაგრამ ვერაფერს გახდნენ.

— უბედურებაც ის არის, რომ სწორედ კომენდანტმა მოჭრა სე და არა სხვა ვინმემ, — თქვა ლენინმა, — კაცს სახალხო ქონების დაცვა დაუვალებს, ის კი ანადგურებს. ამიტომ ათასჯერ უფრო დამნაშავეა.

და კომენდანტმა მთელი კვირა ჰატომრობაში დამყო.

თარგმანი გ. ნაღარეიშვილმა


7738

# ს ა ნ ი ს ი

## ა. შინაელია

დიდი ღვინის სახელი  
ღღეს ვარსკვლავებზე სწვრია,  
მთელმა სამყარომ გაიგო,  
მიწაზე რაც გვიმღერია.  
მთელმა სამყარომ გაიგო  
დიდი ღვინის სახელი;  
აღსრულდა მისი ოცნება, —  
ცას ჩვენ შევხსენით სარქველი!  
დიდი ღვინის სახელი  
ამ ქვეყნად ყველგან ანთია,

კომუნისტების მიგვიძღვის  
მისი დიდი ჰარტია.  
დაზგას, ხარაჩოს, მაღაროს,  
და ყამირს თვალებახელიც  
ანათებს ჩაუქრობელი  
დიდი ღვინის სახელი.  
დიდი ღვინის სახელი  
დროშაა ზეალმართული,  
მას, ყველა ხაღბის დიდებას,  
ჩვენი მადლობა ქართული!




# ოქტომბრული ჯგუფის დროშა

დახედეთ! აი, ასეთი პატარა წითელი დროშა გადმოგეცემათ ოქტომბრული ჯგუფებს. ის სიგრძით 60 სანტიმეტრია, სიგანით—40. კიდეებზე ოქროსფერი ფორები აქვს, შუაგულში კი ოქროსფერია ვარსკვლავი ახატია. ვარსკვლავი დიდი არ არის, მისი დიამეტრი სულ 18 სანტიმეტრია. პატარა დროშა ხის ტარზეა დამაგრებული.

ოქტომბრელები ამ დროშით დადიან ექსკურსიაზე, ლაშქრობებში, გამოაქვთ იჯი შეკრებებზე და დღესასწაულებზე.

დროშა ჯგუფის ყველა ოქტომბრელს შეუძლია ატაროს რიგრიგობით.



ნახატი ბ. რაინიშვილისა



დაეყუდა და ეზოში გიას ჩასძახა: ჩემი ბურთი მანდ ხომ არ გადმოვარდაო?

ბიჭმა უარის ნიშნად თავი გაიქნია, რაღაც ჩაიბურტყუნა და ყვავილეების პატარა სარწყავი ონკანს შეუდგა ასავსებლად.

— იმას ექნება, როგორ გაისუსა!— გული მოუვიდა მანანას, ეზოში ჩაირბინა და ღონიჯშემოყრილი თავზე წაადგა გიას:

- მომეცი ჩემი ბურთი!
- რომელი ბურთი?— შეუტია ბიჭმა.
- რომელი და ჩემი წითელი ბურთი...
- როდის მათხოვე? იმ დღეს არც კი მათამაშე, — უსაყვედურა გიამ.
- გგონია, ვერ ვიპოვი? სულ ავურდავურევ შენს სათამაშოებს, — დაექაღნა მანანა და გაიქცა.

უცბად ჭიშკართან მუშები შეამჩნია. ნაგავი გაჰქონდათ ეზოდან. დაჰკრა ფეხი და კარებში გადაუდგა მათ.

— ძია, ჩემი ბურთი ხომ არ გააყოღოთ ნაგავს?

მუშებმა ერთმანეთს გაუღიმეს და გოგონას ანიშნეს, გზა მოგვეციო.

# ბურთი

ქ. ჭილაშვილი ნახატები მ. თოთიბაძისა

მანანა პატარა წითელ ბურთს ახტუნავებდა აივანზე და თან ქაქანით ითვლიდა:

— ათიი! — მარჯვედ დაჰკრა ხელი გოგონამ. ბურთი ისე მაღლა შეხტა, რომ თვალი ვეღარ შეასწრო, საით გადაუგორდა.

აქეთ ვცა, იქით ვცა, დაიკარგა ბურთი!

— ნეტავ რა იქნა? — შეშფოთდა მანანა, სამზარეულოდან მატყლის საპენტი ჯოხი დაითრია და, თუკი რაზე იდგა აივანზე, არა დაუტოვებია რა, სულ რაკარუკით მოსინჯა ძირით-ძირობამდე.

დაიკარგა ბურთი! მანანამ ჯოხი მიაგდო, მოაჯირს გა-





გავისტუმრეთ, ახლა მინც მოგვასვენე, შე მეზობელა, შენა...

— მე ვაქსთან კი არ მოვედი! ბურთი დავკარგე, იქნებ თქვენს ოთახში შემოვარდა თანჯრიდან.

— არაფერი შემიმჩნევია!—უთხრა გიგო პაპამ და კარს დახურვა დაუპირა.

— მე დავინახე, აქ ვაღმოვარდა!— იეშმაკა მანანამ.—მე თვითონ მოვძებნი, შეიძლება?

პაპა გიგო წამით შეყყოყმანდა, მაგრამ გზა მინც მისცა. მანანა გულდაგულ შევიდა ოთახში, თითქოს დანამძვილებით იქ იყო ბურთი.

აქეთ მიათვალეოგრა, იქით მოათვალეოგრა, ბურთი არ გამოჩნდა.

— გიგო პაპა! თუ შეიძლება, მომეხმარეთ, კარადა გამოვწიოთ, უკან ვგაღებ, —და მანანა მთელი ძალით კარადას დაეკიდა.

— არ გაგატარებთ! მე ვიცი, ჩემი ბურთი მაგ კალათში გლი!—გაჯიუტდა მანანა.

— ბურთს ნაგავში რა უნდა!—დაუტოვებ მუშებმა თავნება გოგოს, დაავლეს კალათს ხელი და ჰაიდა, გაუღდნენ თავიანთ გზას.

გულდაწყვეტილი მანანა ფეხათრევით გამობრუნდა უკან. არ სჯეროდა, რომ წითელი ბურთი აღარ ჰქონდა!

ნეტავი ვაქსთან ხომ არ გადავარდა? იმათი ფანჯარა ღიაა,—გაიფიქრა გოგონამ და კიბეზე აირბინა. ზარის ღილაკს რომ ვერ შესწვდა, კარის სახელური დააჩხარუნა.

— ვინ არის?—შემოესმა ხმა.

— მე ვარ, პაპა გიგო, ბურთს ვეძებ!—კარის გაღებისთანავე მიახალა მანანამ.

— მერე წესიერად ვეღარ დააკაუნე, ეს იყო ჩამთვლიმა. ვაჟა ხომ სოფელში



გიგო პაპა როგორ არ  
დაეხმარებოდა! კარადა წინ  
წამოსწიეს. მანანა მაშინვე  
უკან გადაძვრა...

— იპოვნე? — თანავრძ-  
ნობით ჰკითხა მოხუცმა  
ნირწამხდარ ბავშვს და კუ-  
წულა თმებში გახლართუ-  
ლი აბლაბულა ააცალა.



— გრძელკულა! —  
წიხლი მიაცოლა მანა-  
ნამ ფისოს და დანადგ-  
ლიანებული შევიდა  
სახლში.

უფროსებს უკვირ-  
ლათ მანანას ასეთი  
გაყუჩება. არც ჩაი და-  
ლია, დასაძინებლადაც  
ნადრევად მოემზადა.  
ჩამოჯდა ტახტზე და  
ფეხსაცმელებს ბუზლუ-  
ნით დაუწყო გახდა.  
უტბადა... უი, კარს უკან  
თავისი ბურთი არ  
დაინახა?!

— ჩემი ბურთი! —  
ასკინკლდა ცალ ფეხ-  
ზე მანანა და ბურთი  
გულში ჩაიკრა.

შერცხვა გოგონას ვიასი, პაპა გიგო-  
სი, მუშებისა, ფისოსც... სწრაფად გა-  
იხიდა ტანსაცმელი და ბურთიანად საბან-  
ში ჩაიმალა.



— არა, — თვალის  
ვერ გაუსწორა მანანამ  
პაპა გიგოს. — განა არ  
ვიცი, ვაჟა წაიღებ-  
და, — ჩაიბუტბუტა მე-  
რე.

— ვაჟა ხომ გუშინ წავიდა, შენ კი  
დღეს დაკარგე ბურთი! — ჩაეცინა პაპა გი-  
გოს და გოგონა კარამდე მიაცილა.

— ვიცი, ვიცი, ვაჟა წაიღებდა! — გა-  
ჯიუტდა მანანა და ტუჩაბუზებულები სახ-  
ლისაკენ წავიდა.

— მიაუ, მიაუ... — ენავილით გადაუ-  
ჭრა გზა მანანას კატამ და აივნის კუ-  
თხეში ჩაუტუქდა.

— რაო, ფისუნო, იცი, სად არის ჩე-  
მი ბურთი?

— მიაუ, მიაუ, — დაიქნავლა კატამ.

— რა ექნა, არ მესმის, რას მეთუბნები! —  
დაიხარა გოგონა და კატას ხელი გადა-  
უსვა. კატამ გოგონას თათი გაჰკრა კა-  
ბის კალთაზე, უხალისოდ დაიქნავლა  
და ზმორებით ვასწია აივნის მეორე მხა-  
რეს.





ქართველმა ხალხმა დაკარგა საუვარელი სახალხო პოეტი  
ბალაქაძინი ვახიკი. თავის ლექსებში იგი უმღეროდა სამშობ-  
ლოს, მის აწმყოსა და მომავალს. მას ძალიან უყვარდით თქვენ—  
ბავშვებო!

ვბეჭდავთ ნაწუვეტს გალაკტიონ ტაბიძის ლექსიდან: „მშობ-  
ლიურო ჩემო მიწავ“



ორ სდგას შუა ძველისძველად  
საომარი იყო ლელო—  
ის გადარჩა და სახელად  
ეწოდება საქართველო.

მშობლიურო ჩემო მიწავ,  
შენს საუვარელ სახელს ვფიცავ,  
რომ დავიცავ შენს მიღწევებს,  
შენი დროშის ფერს დავიცავ!

ნახატი პ. ჯაფარიძისა



# სად წავიდა მორგვი?!

ნ. ჩაჩავა

ნახატი ბ. როინიძისილისა

წინდას ქსოვდა ბებო,  
კარგს და სანაქებოს.  
ძაფის მორგვი ხტოდა,  
რაც კი ძალა ჰქონდა.  
იქვე იჯდა ციცა,  
ქნუტი ერთი ციცქნა.  
მორგვი გადარბოდა,  
მორგვი გადმორბოდა.  
ქნუტი იქით ხტოდა,  
ქნუტი აქეთ ხტოდა.  
ერთი მარჯვედ გაჰკრა თათი,  
დააკორა მორგვი ძაფის.  
მირბის მორგვი,  
მისდევს ციცა.  
პაწაწინა, ერთი ციცქნა.  
მორგვი უცებ გაქრა,  
ფისომ ახლა რა ჰქნას?  
მოიძებნა ბებომ მორგვი,  
არსად არ ჩანს ძაფის მორგვი.  
ხომ არ გაჩნდა სადმე ქურდი,  
გაღამალა ცხრა მთა-გორას,  
ანდა იქნებ, როგორც ბურთი,  
ვინმემ სადმე გააკორა.



— გესმის, ბიჭო, შენ წაიღე?  
ფეხი გაჰკარ იქნებ, თემო,  
ნუ მიმალავ, მითხარ ჩემო.  
— არა, ჩემო ბებია.  
ჩემო კარგო ბებია,  
მორგვი არც კი მინახავს.  
არც კი მივკარებდივარ.  
— აბა სად დაიკარავა,  
ცამ ხომ არ გადაყლაბა,  
ხომ არ ჭამა მიწამა?  
— არაფერი არ ვიცი.  
შენს თავს.  
ჩემს თავს ვფიცავარ.  
— იქნებ თქვენ შეინახეთ,  
იქნებ თქვენ დანახეთ,  
რამ შეჭამა მორგვი,  
სად წავიდა მორგვი?!





# თვინჯუნჯუნა ყვავილანი

ა. თოქაძე

ნახატები გ. ფოსნიკვილიძის

გახაფხულზე სოფელში თესვა იყო გაჩაღებული. კოლმეურნეები დილით ადრე დგებოდნენ და სამუშაოდ მიიჩქაროდნენ.

დედა ეთერიმ ხელში მუყაოს კოლოფი აიღო და ბავშვებს უთხრა:

— აბა, წავიდეთ, დღეს ყვავილები უნდა დავთესოთ.

— ყვავილები უნდა დავთესოთ, ყვავილები!— აჩიქოლდნენ ბავშვები და ფეხში გაცვივდნენ. მასწავლებელმა ბავშვები ღობესთან გაამწკრივა და სათამაშო ნიჩბები ჩამოურიგა.

ბავშვები მუშაობას შეუდგნენ, პატარა ორმოები ამოთხარეს. შემდეგ მასწავლებელმა ყველას სათითაოდ თავის კბილისოდენა შავი მარცვლები მიაწოდა:

— ჩაფალით ორმოში და ზევიდან მიწა გადააყარეთ!

პატარა მთესველებმა მარცვლები ორმოებში ჩაყარეს. როცა მუშაობას მორ-

ჩნენ, ხელები დაიბანეს და სასვირნოდ წავიდნენ.

მინდორში ტრაქტორები გუგუნებდნენ. კოლმეურნეები სიმიინდს თესდნენ.

ბავშვები ყოველდღე გულისფანჯალით ათვალთვლებდნენ თავიანთ ნათესს. საკოლმეურნეო მინდვრებზე პური და ქერი უკვე ამოვიდა, სიმინდმაც ამოჰყო თავი, მათი დათესილი ყვავილები კი არსად ჩანდა.

— ნეტავ რატომ არ ამოდის?— დარღობდა მედიკო.

— ალბათ ძალიან შავი თესლი რომ იყო, იმიტომ არ ამოდის,— ბუზღუნებდა რეზო.

მიწაში კი ყვავილების პატარა შავი თესვლები დღევნებოდნენ, იბერებოდნენ. შემდეგ შუაზე გასკდნენ და ერთ მშვენიერ მზიან დღეს მიწიდან სულ პატარა, მწვანე ღეროები ამოიწვერა.

— ამოსულა, ამოსულა!— გაისმოდა მთელ საბავშვო ბაღში.



ძალიან ჩქარა იზრდებოდნენ ყვავილე-  
ბი. ლამაზი, მწვანე ფოთლები და გრძე-  
ლი ყლორტები გამოიბეს. ღობეს ირგ-  
ვლივ შემოეხვივნენ.

— ყვავილები? ყვავილები სადღაა?—  
ყოველდღე კითხულობდა მედიკო.

ერთ დღით საბავშვო ბაღში რომ  
მივიდა, ყვავილები უკვე გაშლილიყო:  
ზოგი იისფერი გახლდათ, ზოგი იასამინ-  
ფერი. ზარივით ფართო პირი ჰქონდათ  
და პირდაპირ მზეს შესცქეროდნენ. მედი-

ცებული დარჩა. არც ერთი ყვავილი  
აღარ იყო!

— დეიდა ეთერი, დეიდა ეთერი! —  
მორთო ყვირილი მედიკომ, — ჩვენი ყვა-  
ვილები სადღაც გაპარულან.

— არსად არ გაპარულან, — გაიციანა  
დეიდა ეთერიმ, — ესენი ხომ მძინარა ყვა-  
ვილები არიან. მზე როცა ამოდის, მა-  
შინ იღვიძებენ. როცა მზე ჩადის, თვა-  
ლებს ხუჭუვენ და იძინებენ. ხვალ დღით  
ისევ გაიღვიძებენ და გაიშლებიან. ახლა  
კი აი, როგორ შეფუთულან და დაუძი-  
ნიათ.

მალე მამამ მოაკითხა მედიკოს შინ  
წასაყვანად.

— იცი, მამა, დღეს მე ყვავილები  
დამემალნენ, — შესძახა მან, — ისეთი მძინა-  
რები ყოფილან. შემომხედე! — გოგონამ  
ხელები ერთიმეორეზე მიაღო, თვალე-  
ბი დახუჭა და სასაცილოდ მოიბუხა, —  
აი, ასე ჩაიძინეს. მშვიდობით! დღღამდე  
თურმე აღარც გაიღვიძებენ!



კო მთელი დღე სულ  
კარგემო უტრიალებ-  
და ყვავილებს.

დედას უნდა ვუჩვენ-  
ნო ყვავილები. სახლ-  
ში რომ წავალ, ცოტას  
დავკრეფ და თან წავი-  
ღებო, — ფიქრობდა  
გოგონა.

უკვე მოსალამოვდა.  
მედიკო ეზოში გავი-  
და და ყვავილებთან  
მიირბინა, მაგრამ გაო-

## ი ა ს ც ა ლ ი ა

მ. ჰაჰანიძე

ნუ ეძახით, ცელქებო,  
სოსოს ჯერ არ სცალია!  
თუმცა თქვენთან თამაში  
გულით უნდა ძალიან;  
უნდა ახლაც ეზოში  
ზაზას რომ დაეჭიდოს,  
მაგრამ რა ქნას, თავს იჭერს,  
წიგნს კითხულობს... ბუჯიბობს.  
ასე უთხრა დეიდამ:  
— მოსწავლე ხარ შენ ახლა,  
თუ არ მორჩი გაკვეთილს,  
სათამაშოდ ვერ წახვალ! —  
ჰოდა, სოსოც გაკვეთილს  
სწავლობს... ჯერ არ სცალია,  
თუმცა თქვენთან თამაში  
გულით უნდა ძალიან.



# ზემკ პატარა ბიჭობაში

ბ. პაიჭაძე  
სპორტის დამსახურებული ოსტატი

ნახატები ღ. ხახუაშვილისა

ბუთი, ექვსი წლის ბიჭი ვიყავი, როცა ფეხბურთის თამაში დავიწყე. ფოთში ჩემს დროს ბევრი ბავშვი თამაშობდა ბურთს. მინდორ-ველები თუ ბალახით დაფარული ქუჩები გახლდათ ჩვენი მოედნები. იქ ვვარჯიშობდით, ვეჯიბრებოდით ერთმანეთს. ნამდვილი ბურთი სად გვექონდა! კინქის ან ჩეზინის პატარა ბურთით ვთამაშობდით. ხანდახან ბედი გავვიღიებოდა და საქონლის ან ღორის ბუშტს ვშოულობდით; სადმე ღორის ქუყვირილს რომ გავიგონებდით, თავქუდმოგლეჯილი გავრბოდით იქით ბუშტის საშოვნელად.

მაგრამ თუ რომელიმე ჩვენს ამხანაგ მშობლები ან ნათესავი ნამდვილ ბურთს უყიდიდა, უნდა გენახათ, რა პატივისცემით ვეპყროდით ბურთის პატრონს. გუნდის კაპიტნად ავირჩევდით და „ბურთის ხათრით“ ყოველგვარ სურვილს ვუსრულებდით. სამწუხაროდ, ბურთის პატრონი მუდამ რატომღაც ჩვენზე ცუდად თავის მამობდა.

მაგრამ ბურთის მფლობელი ის იყო და რა გზა გვექონდა, გუნდში უნდა გვეყოლოდა. ვი ჩვენი ბრალი, თუ ბურთის პატრონი გოლს ვერ გაიტანდა მოწინააღმდეგის კარში, ან მისი გუნდი წააგებდა! მაშინ ის ხელს დაავლებდა ბურთს და სახლისაკენ გარბოდა. ჩვენ კი გულდაწყვეტილებით თავს ვირთობდით ხალხური თამაშობებით, — ლახტით,





რიკ-ტაფელათი, დაქერობანა და ყაჩაღობა ბანათი. ახლა დარწმუნებული ვარ, რომ ამ საბავშვო გასართობებმა არა ნაკლებ დავგაოსტატა ბურთის თამაშში.

ზღვაც აგრეთვე ჩვენი დიდი მეგობარი იყო. პატარაობიდანვე ისევით ვცურავდი. როცა ბურთი არ გვქონდა, ბიჭები ერთმანეთს ვეჯობებოდით სირბილში, ხტომაში, ცურვაში, ყვინთაობაში, ნიჩბოსნობაში.

ხანდახან ცხელ სილაზე წამოგორებულები ჩვენს საყვარელ ფეხბურთელებზე ვსაუბრობდით, ვმსჯელობდით და მათი თამაშის არამკითხველ მსაჯუბი ვიყავით.

მაშინ ხშირად იმართებოდა ფეხბურთის შეჯიბრი ნავსადგურში მდგომ უცხო გემების მეზღვაურებთან, ან დონბასის, ნოვოროსიისკის, ლენინგრადის, მოსკოვის და თბილისის გუნდებთან. დასწრება ფასიანი იყო, ჩვენ კი ბილეთის ფული ყოველთვის არ გვქონდა და სხვადასხვა ხრიკებს მივმართავდით ხოლმე.

ფოთის მშვენიერი სტადიონი ნავსადგურში იყო და შიგ შეპარვა ძნელი გახლდათ. მაგრამ ჩვენდა ბედად ამ სტადიონს ერთმხრივ მდინარე რიონი ჩაუდიოდა. ისე რომ რიონგალშიდან ვიწყებდით მის იერიშს: ბიჭები ტანისამოსს თავზე შემოვიხვევდით და მდინარეში გადავეშვებოდით. გადავცურავდით თუ არა, თავგებივით ფაცხაფუცხით შევიპარებოდით მაყურებლებში.

როცა რიონი ადიდებული იყო, მაშინ სხვა ხერხს მივმართავდით: სტადიონის ერთ-ერთ შესასვლელს ჩოხა-ახალუხში გამოწყობილი უღვაშავრებილი მზიარული მილიციელი ალე გაბინონია დარაჯობდა, რომელიც სტადიონზე არ გვიშვებდა. თავზე ბუხრის ქუდი ეხურა და ქამარზე ვეებერთელა ხანჯალი ეკიდა.



თამაშის დაწყება რომ მოახლოვდებოდა, ჩვენი მოთმინებაც ილეოდა. რამდენიმე ასეული ბავშვი ადგილიდან მოგწყდებოდით და სტადიონისაკენ გავრბოდით. ხანჯალამოდებული ალექსილით და ჯვირილით დაგვედევნებოდა, მაგრამ რომელ ერთს დაგვიკერდა?! ვისაც კი წამოგვეწყოდა, რბოლადგილას ბრტყლად დაგვკარგვდა ხანჯალს ისე, რომ არაფერი გვტყენოდა.

სტადიონთან ერთი დიდი რკინის კასრი იდგა. ბიჭები ზედ შევსკუბდებოდით ხოლმე და იქიდან ვუცქეროდით თამაშს. როცა ფოთელები გოლს გაიტანდნენ, ქვევით ისეთ ხმაურს ავტყენდით ცარიელ კასრზე, რომ ცასა და ქვეყანას შევძრავდით! კასრი ზარივით რეკდა და მისი ხმა უველა მცხოვრებს ატყობინებდა, ფოთელებმა ბურთი გაიტანესო.

ხშირად ვეჯობებოდით ახლომახლო სოფლების ჩვენს ტოლ ფეხბურთელებს. ძალიან შორსაც რომ უოფილიყვნენ, ფეხით მივდიოდით. გზას სიცილით, სიმღერით და ცეკვით მოკლე ხანში გავცივდიდით ხოლმე, ხოლო თამაშის ჩატარების შემდეგ ასევე მხიარულად ვბრუნდებოდით უკან.

ბურთს ისე ვიყავით გადაუოლილი, რომ მშობლები არა ერთხელ გავცურობიან, მაგრამ ფეხბურთით გატაცებაც და ცელქობაც სწავლაში ხელს არ გვიშლიდა და მშობლებიც ამიტომ ადვილად ურიგდებოდნენ.

მამაჩემს ფეხბურთისა არაფერი გაეგებოდა. ნამდვილი ფეხბურთის თამაში არც ენახა. ხშირად თუ სადმე წაგვისწრებდა ბურთზე, დაგვიცაცხანებდა:

— მაგას ისა სჯობს, წიგნები იკითხოთ და გაკვეთილები ისწავლოთო.

ერთხელ ფოთს ეწვია მარკოვის ძლიერი გუნდი. მან თბილისში წარმატებით ჩაატარა თამაში. შეჯიბრს დიდძალი ხალხი დაესწრო. მეც

უკვე ჰაბუკი ვიყავი და ფოთის ნაკრებში ვთამაშობდი.





მამაჩემი თურმე თავის ამხანაგებთან ერთად სამუშაოდან შინ ბრუნდებოდა. ბევრი ხალხი რომ მიდიოდა სტადიონისაკენ, დაინტერესდა: ერთი მეც ვნახავ, რა ხდებაო.

სტადიონზე ყურთასმენა აღარ იყო, ხალხი ლელავდა, ჩვენ თამაშს ვაგებდით. უკა-

ნასკნელ წუთებში მე გავიტანე მეორე ბურთი და თამაში დავამთავრეთ ფრედ: ორით-ორი!

იგრილა ხალხმა, შემოცვივდა მინდორზე და ხელში აყვანილი გამომიყვანეს სტადიონიდან.

მამაჩემი ამაყი, თავმოყვარე კაცი იყო. ამ ამბავმა მასზე ძლიერ იმოქმედა და შინ დაბრუნებულმა დედაჩემს უთხრა: „ქალო ოღლა, სად ისწავლა ამ ბალანამ ამფერი თამაში?“, — თან აქეთ-იქით დადიოდა და გაიძახოდა: „უყურე შენ, უყურე შენ“-ო! შემდეგ კი ერთი შეჯიბრიც არ გაუცდენია და ჩემთვის თამაში აღარ დაუშლია.

ერთხელ, ფოთის ახლოს ერთ-ერთ სოფელში ვეჯიბრებოდით იქაურ გუნდს. პირ-

ველი ბურთი ჩვენ გავიტანეთ. უცბად მკარეს ვიღაც უღვაშებიანი კაცი ამოუღდა გვერდში, გაიძრო ხანჯალი და შემოგვძახა: „ახლოს არ მიეკაროთ ვოლს, თორემ დაგჩეხავთო!“ ჩვენ, რა თქმა უნდა, „ხანჯლიანის“ შიშით ბურთი აღარ გავიტანია, თუმცა თამაში მაინც ჩვენს სასარგებლოდ დამთავრდა.

გავიდა ხანი. ერთხელ თბილისში ლენინის სახელობის სტადიონზე ჩვენი გუნდი ბათუმელ ფეხბურთელებს ეჯიბრებოდა. თამაში მოვიგეთ. ამის შემდეგ მე თბილისში დამტოვეს.

ჩემო პატარა მეგობრებო, ისწავლეთ კარგად, ბევრიც ივარჯიშეთ, თუ გინდათ, რომ კარგი ფეხბურთელები გამოხდეთ.



7738





6. 57/103

ნახტი ირ. პრლივიჩისა



**ბავშვებო. აბა, სცადეთ. იქნებ თქვენც ამოკარგოთ.**

ყდის მხატვრობა გელთნის **გ. როინივილი**

რედაქტორი იოსებ ნონეშვილი. სარედაქციო კოლეგია: ი. გრიშაშვილი, ქ. გოციაშვილი, მაცუალა მრეველიშვილი (რედაქტორის მოადგილე), ი. სიხარულიძე, ნ. უნაფტოშვილი, შ. ცხადაძე (სამხატვრო რედაქტორი) ბამონცაშის ოცდაათორმეტი წელი **ფანი ზ მან.**

ტექ. რედაქტორი ი. არღიშვილი რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ დაუბრუნდებათ

საბლიტბამი, რედაქციის მისამართი: თბილისი, პეტრიაშვილის ქ. 21, ტელ. 3-37-38, ექიმთა შეფ. № 45, სტამბის შეფ. № 415  
 ტირაჟი 20000 შა 01600 ხელმოწერილია დასაბამად 24/II 1959 წ. ჟურნალი უბუდოლია ლითონის ტიპის ფაბრიკაში  
**Д И А А** — еженедельный детский журнал ЦК ЛКСМ Грузии и Республиканского совета «Союзация юных пионеров» им. В. И. Ленин  
 № 4, апрель 1959 г. Тбилиси, Просп. Пашаева 91.